მინიმალური კომპეტენციების ჩამონათვალი

მუხლი 1. პოზიტიური, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა და კლასის მართვა

1.1 დემოკრატიისა და სოციალური ინკლუზიის პრინციპების გაზიარება, კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა და ტოლერანტობა.

1.2 მოსწავლეთა მამოტივირებელი გარემოს უზრუნველყოფა.

1.3 მოსწავლეებთან კომუნიკაციის ეფექტიანი სტრატეგიების ცოდნა.

1.4 კონფლიქტის პრევენციისა და მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიების ცოდნა.

1.5 კლასის ეფექტიანი მართვისთვის ქცევის წესების შემუშავება.

1.6 საკლასო ორგანიზაციის ფორმების გამოყენება საკლასო აქტივობების შესაბამისად.

1.7 მოსწავლეების სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

1.8 მოსწავლეთა ჩართვა ისეთ აქტივობებში, რომლებიც ზრდის სკოლისადმი მათი მიკუთვნებულობის განცდას.

მუხლი 2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა

2.1. ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და პრინციპების ცოდნა.

2.2 სასწავლო მიზნების შერჩევისას მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება.

2.3 სასწავლო აქტივობების შერჩევა და დროის მენეჯმენტი.

2.4 სასწავლო რესურსების შერჩევა და მათი მიზნობრივი გამოყენება.

მუხლი 3. ეფექტიანი სწავლება

3.1 სწავლისა და განათლების თეორიების ძირითადი პოსტულატების ცოდნა.

3.2 მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების ცოდნა/გამოყენება.

მუხლი 4. მოსწავლეთა შეფასება

4.1 მოსწავლეთა შეფასების ძირითადი ფორმების ცოდნა.

4.2 მოსწავლის ეფექტიანი განმავითარებელი შეფასება/უკუკავშირი.

მუხლი 5. სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა და პროფესიული ეთიკის დაცვა

5.1 მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ეფექტიანი კომუნიკაცია.

5.2 კოლეგებთან თანამშრომლობა.

5.3 მოსწავლეებთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, მასწავლებლებთან და სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობისას ეთიკური სტანდარტების დაცვა.